

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

# აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

UNDP

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

UNDP

პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია აჭარის უმაღლესი საბჭო და იგი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის ან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მოსაზრებებს.

# აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა

# წინასიტყვაობა

ღია მმართველობა თანამედროვე, ტექნოლოგიური პროგრესის სამყაროში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. გლობალურმა კრიზისებმა იგი კიდევ უფრო პრიორიტეტული გახადა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 2020 წელს დაიწყო ამ მიმართულებით რეფორმების განხორციელება და უკვე ორი წლის შემდეგ, მეორე სამოქმედო გეგმა მივიღეთ.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესმა საბჭომ კიდევ უფრო გაზარდა სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი. გარდა იმისა, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში 10-ზე მეტი სამოქალაქო ორგანიზაცია იყო ჩართული, ასევე გამოცხადდა გეგმაში გასათვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ იდეების ღია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ძირითადად ახალგაზრდებმა სხვადასხვა სასწავლებლიდან, ხოლო სამი გამარჯვებული იდეა, რომელიც თავად საზოგადოებამ შეარჩია ვებ-გვერდზე ხმის მიცემით, ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეკუთვნით. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ახალგაზრდების ასეთი დაინტერესება რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობით, მით უფრო, რომ იდეები ძალზედ საინტერესოა და რეალური ჩართულობის პროგრესს ემსახურება. ღია მმართველობის საბჭომ სამივე იდეა გაიზიარა და ასახა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში.

ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა სამ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას აერთიანებს:

1) საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საკანონმდებლო საქმიანობაში,

2) უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების საზედამხედველო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობას, და

3) მეტი გამჭვირვალობით თუ სხვადასხვა აქტივობით საბჭოს და მისი საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

წინამდებარე გეგმაში აისახა 25 შემოთავაზება, რომელთა ავტორები იყვნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, აპარატის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრები და კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები. ეს შემოთავაზებები, განხილვების შედეგად, ახალ გეგმაში 8 მსხვილი ვალდებულების სახით არის წარმოდგენილი. გასაკვირი არაა, რომ ღია მმართველობა არის საკითხი, რაზედაც უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ჯგუფი თანამშრომლობს და კონსენსუსის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ისინი სრულად იყვნენ ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მიღებაში.

უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის პირველი სამოქმედო გეგმის ორი მესამედი სრულად ან არსებითად შესრულდა, მიუხედავად არაერთი შიდა თუ გარე დაბრკოლებისა, გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და სხვადასხვა პოლიტიკური თუ გლობალური კრიზისისა. ეს წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენი საერთაშორისო თუ ადგილობრივი პარტნიორების მხრიდან. ღია მმართველობის პარტნიორობამ (OGP), თავის მხრივ, უმაღლესი საბჭოს ეს მიღწევები სამაგალითოდ მიიჩნია და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რეგიონული პარლამენტების დონეზე აჭარის გამოცდილების უფრო ფართო გაზიარებისთვის. ჩვენთვის ეს აღიარება დამატებითი მოტივაციაა, გავაგრძელოთ დაწყებული რეფორმები, გავაძლიეროთ დანერგილი პრაქტიკები, კიდევ უფრო რეალურ და ხელშესახებ შედეგებს მივაღწიოთ, კიდევ უფრო გავზარდოთ საზოგადოების ინტერესი და მონაწილეობა ჩვენს საქმიანობაში. ვაცნობიერებთ, რომ ორი წლის მანძილზე მიღებული შედეგები მხოლოდ დასაწყისია და კიდევ დაუღალავი შრომაა საჭირო, რეგიონის დონეზე საკანონმდებლო თუ საზედამხედველო საქმიანობაში საზოგადოება ჩაერთოს მათ მიერ არჩეული ორგანოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ვამაყობთ, რომ თითოეული ეს რეფორმა ჩვენი ყველა მოქალაქის ინტერესის გათვალისწინებით ხორციელდება, ინკლუზიურად, ყველა ჯგუფისთვის და ყველა სეგმენტისთვის, რათა არავინ დარჩეს პროცესს მიღმა.

იმედს ვიტოვებთ, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, უმაღლესი საბჭოს აპარატის შრომით და მოქალაქეთა ჩართულობით 2024 წლისთვის აჭარას ეყოლება გაცილებით ღია და საზოგადოებასთან კიდევ უფრო ახლოს მდგომი საკანონმდებლო ორგანო.

**დავით გაბაიძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

# სარჩევი


## საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საკანონმდებლო საქმიანობაში 5

1 საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება ონლაინმექანიზმებით 6

2 ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში 8

3 სამოქალაქო ჩართულობის სტრატეგიის განსაზღვრა 11

## საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში 12

4 თემატური მოკვლევის პრაქტიკის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია 13

5 საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში, ონლაინმექანიზმების გამოყენებით 16

## ცნობიერების ამაღლება და გამჭვირვალობა 18

6 ღია მმართველობის რეგიონულ საკანონმდებლო ორგანოთა საერთაშორისო ქსელი 19

7 უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა 22

8 საინფორმაციო კამპანია საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმებზე 24

 აჭარის უმაღლესი საბჭოს
ღია მმართველობის
2022-2024 წლების
სამოქმედო გეგმა

# საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საკანონმდებლო საქმიანობაში

## საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში

## ცნობიერების ამაღლება და გამჭვირვალობა

# 1 საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება ონლაინმექანიზმებით

**ინიციატორი**

- ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა, მე-10 კლასის მოსწავლე, ქეთევან მალაზონია
- ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლა, ლანა მუკუტაძე, მოსწავლე
- აჭარის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

ვლადიმერ მგალობლიშვილი

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- დემოკრატიის ინსტიტუტი

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**

ამჟამად უმაღლეს საბჭოში არ არსებობს ბერკეტი, რომელიც გამოასწორებდა საზოგადოების დაბალ ჩართულობას კანონპროექტის შექმნის პროცესში. ამ ეტაპისთვის არ მოქმედებს მოსახერხებელი და ყველასთვის ხელმისაწვდომი ონლაინმექანიზმები, რომლებიც გაზრდიდა მოქალაქეთა დაინტერესებასა და აქტიურობას.

რეგლამენტი ითვალისწინებს ინიცირებული სამართლებრივი აქტების საჯარო განხილვებს მოსახლეობასთან ერთად - კერძოდ, ვებგვერდზე chaerte.sca.ge შესაძლებელია კომენტარების გაკეთება. საჯაროა ბიუროს, საკომიტეტო და პლენარული სხდომებიც. თუმცა მოქალაქეთა ჩართულობა განხილვებში ძალიან დაბალია.

რეგლამენტით ასევე გათვალისწინებულია საკანონმდებლო წინადადების წარდგენა უმაღლესი საბჭოსთვის, მატერიალურად ან ელექტრონულად (ელფოსტაზე გაგზავნით), თუმცა საბჭოს ვებპლატფორმებზე არ არის ელექტრონული საკანონმდებლო წინადადების სპეციალური მოდული (მაგ: როგორიცაა ელექტრონული პეტიცია).

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

ონლაინმექანიზმების მეშვეობით, საბჭომ მეტი შესაძლებლობა შექმნას საკანონმდებლო პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის.

კანონპროექტებთან მიმართებით, დაინერგოს ხმის ონლაინ მიცემის სისტემა; შემუშავდეს ელექტრონული საკანონმდებლო წინადადების მოდული.

**მთავარი მიზანი**

საკანონმდებლო საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა და ელექტრონული მექანიზმების განვითარება.

| ღია მმართველობის პრინციპები | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| | | | ✓ | ✓ |

16 მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები

## განხორციელების ეტაპები

**ეტაპი 1** აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე: www.chaerte.sca.ge სპეციალური ველის ჩაშენება, რომელშიც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება ხმის მიცემა და საინტერესო კანონპროექტების მხარდაჭერა.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 09/2022 | 05/2023 | ვებგვერდზე დამატებულია ველი. 2023 წლის 1 ივნისიდან განთავსებულ ყველა კანონპროექტზე შესაძლებელია ხმის მიცემა. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

**ეტაპი 2** კანონპროექტთა ონლაინ საჯარო განხილვების ორგანიზება/დაგეგმვა.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 05/2023 | 09/2024 | ჩატარდა წელიწადში, სულ მცირე, 2 კანონპროექტის ონლაინ საჯარო განხილვა. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

**ეტაპი 3** უმაღლესი საბჭოს ვებგვრდების მობილურ მოწყობილობაზე მორგებული ვერსიის შექმნა.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 01/2024 | 09/2024 | შექმნილია მობილური აპლიკაცია ან ვებგვერდთა მობილურ მოწყობილობაზე მორგებული ვერსია. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

## რისკები და შემცირების გზები

**რისკი 1:** მოდულების დამზადება საჭიროებს დიდ ფინანსურ რესურსს.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება;

პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია 2024 წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად.

**რისკი 2:** მოქალაქეთა დაბალი ინტერესი.

**შემცირების გზა:** კამპანიის წარმოება და საინფორმაციო მასალის გავრცელება.

# 2 ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში

**ინიციატორი**

- ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა, მე-10 კლასის მოსწავლე, ანა მოგელაძე
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის პრაქტიკანტი, სალომე მიქაძე
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
- აჭარის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
- მწვანე სექტორი

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

დავით ბაციკაძე

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- მწვანე სექტორი
- ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“
- დემოკრატიის ინსტიტუტი

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**

ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებიან უმაღლესი საბჭოს საქმიანობით.

იშვიათია კონკურსები, რომლებიც გაზრდიდა მათ მონაწილეობასა თუ ინფორმირების დონეს და მოიზიდავდა გარე ცოდნას.

უმაღლესი საბჭო პრაქტიკაში იშვიათად სთავაზობს ცალკეულ აქტივობებს სკოლის მოსწავლეებს, თუმცა ექსკურსიების დანერგვამ აჩვენა, რომ ინტერესი საკმაოდ დიდია და ასეთი აქტივობები საჭიროა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2021-2024 წლების სტრატეგიით გათვალისწინებულია გარე საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბება - საზოგადოების მონაწილეობის ინტერაქციული მექანიზმების შემუშავება, დანერგვა და შესაბამისი უკუკავშირის წარდგენა.

უმაღლესი საბჭოს კვლევითი საქმიანობა კვლავ გამოწვევად რჩება და ვერ ხერხდება კვლევების ჩატარება გარე თუ შიდა რესურსით.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისწავლება „სამოქალაქო განათლება“. ამ საგნის მიზანია მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და შესაბამისი კომპეტენციების განვითარება დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისათვის. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლესი სასწავლებლები მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობენ, რომ თეორიულ სწავლებასთან ერთად, სხვადასხვა მეთოდიც გამოიყენონ ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისთვის, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ათვისებული რეგიონში არსებული ყველა რესურსი. მნიშვნელოვანი იქნება, შესაბამისი სპეციალობის სტუდენტები აქტიურად ჩაერთონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროცესებში, განსაკუთრებით, კანონშემოქმედებით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

გაიზარდოს ახალგაზრდების დაინტერესება საბჭოს საქმიანობით და ჩართულობა ამ პროცესებში, კერძოდ: ჩატარდეს ახალგაზრდული იდეებისა და სხვა ინტელექტუალური კონკურსები; სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებთან გაიმართოს თემატური შეხვედრები ღია მმართველობისა თუ სხვა საკითხებზე; ჩამოყალიბდეს ახალგაზრდული კომიტეტი.

სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა და უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებმა გაიარონ შესაბამისი კურსები, რათა გაუმჯობესონ მოსწავლეებთან კომუნიკაცია და აამაღლონ მათი ცნობიერება ამ საკითხებზე.

**მთავარი მიზანი**

ახალგაზრდების დაინტერესება და მოტივირება საბჭოს საქმიანობაში ჩასართავად.

საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და ცნობადობის გაზრდა თანამედროვე მიდგომებით.

| ღია მმართველობის პრინციპები | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| | ✓ | | ✓ | |

16 მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები

## განხორციელების ეტაპები

### ეტაპი 1

ახალგაზრდული ინტელექტუალური კონკურსის ორგანიზება კონსტიტუციასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 04/2023 | 04/2024 | ორგანიზებულია, სულ მცირე, ერთი კონკურსი. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრა-ტეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი |

### ეტაპი 2

ყოველწლიურად ახალგაზრდული იდეების კონკურსის ორგანიზება საბჭოსთვის პრიორიტეტულ საკითხებზე, დარგობრივი კვლევის ჩასატარებლად.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 04/2023 | 09/2024 | ორგანიზებულია, სულ მცირე, ორი კონკურსი. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი |

### ეტაპი 3

შეხვედრების გამართვა სკოლებსა და უნივერსიტეტებში (პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში).

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 01/2023 | 04/2024 | საინფორმაციო შეხვედრა ჩატარებულია 5 სკოლასა და 2 უნივერსიტეტში (პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩათვლით). | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი |

## ეტაპი 4

ახალგაზრდული საკონსულტაციო კომიტეტის ჩამოყალიბება, მისი წევრების შესარჩევი წესების განსაზღვრა და კომიტეტის დაკომპლექტება.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 10/2023 | შემუშავებულია ახალგაზრდული საკონსულტაციო კომიტეტის კონცეფცია.<br>განსაზღვრულია კრიტერიუმები წევრების შესარჩევად.<br>დაკომპლექტებულია ახალგაზ-რდული საკონსულტაციო კომი-ტეტი.<br>ჩატარებულია კომიტეტის, სულ მცირე, ორი შეხვედრა. | იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი<br>საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

## ეტაპი 5

სამოქალაქო განათლების ფარგლებში აკადემიური მოდულის მომზადება უმაღლესი საბჭოს შესახებ; ამ საგნის პედაგოგებისა და უმაღლესი საბჭოს თანამშრომლების გადამზადება, რათა მათ შეძლონ სასკოლო დებატების ორგანიზება საკანონმდებლო საქმიანობაზე.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 10/2023 | მომზადებულია მოდული.<br>გადამზადდნენ დებატების მენტორები.<br>ჩატარებულია, სულ მცირე, 5 შეხვედრა სამოქალაქო განათლების მოსწავლეებთან. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი |

## ეტაპი 6

სასკოლო სადებატო ტურნირის ჩატარება საკანონმდებლო საქმიანობაზე.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2023 | 09/2024 | ჩატარებულია, სულ მცირე, ორი სადებატო ტურნირი. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი<br>მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

## რისკები და შემცირების გზები



**რისკი 1:** კონკურსებისა და დებატების ორგანიზება საჭიროებს ფინანსურ რესურსს.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება; პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია მომდევნო წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად.

**რისკი 2:** დაბალი ინტერესი სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან;

**შემცირების გზა:** სამიზნე აუდიტორიის წინასწარი ინფორმირება.

# 3 სამოქალაქო ჩართულობის სტრატეგიის განსაზღვრა

**ინიციატორი**

- ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

დავით გაბაიძე

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**

მნიშვნელოვანია, შემუშავდეს გრძელვადიანი სტრატეგია საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებსა და მათ ეფექტიანობაზე; უნდა ჩატარდეს კვლევა უმაღლეს საბჭოში არსებულ მექანიზმთა გასაძლიერებლად, ასევე, მოქალაქეებთან კომუნიკაციის ხელშესაწყობად. აჭარის მუნიციპალიტეტებში გამოწვევად რჩება კომუნიკაციის ნაკლებობა მაჟორიტარსა და შესაბამისი ოლქის ამომრჩეველს შორის. ამიტომ, კვლევამ უნდა მიმოიხილოს მაჟორიტარული სისტემის გამოცდილება და მასზე დაფუძნებით წარუდგინოს 2024 წლის სრულად პროპორციულ სისტემას მოქალაქეებთან ურთიერთობის ეფექტიანი გზები.

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა, ასევე, შემუშავდეს გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საზოგადოების მონაწილეობის საკითხებზე.

**მთავარი მიზანი**

გაუმჯობესდეს მოქალაქეთა ჩართულობა და უმაღლესი საბჭოს თანამშრომლობა მათთან.

| ღია მმართველობის პრინციპები | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| | | ✓ | ✓ | |

16 მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები

## განხორციელების ეტაპები

### ეტაპი 1 — მოქალაქეებთან ურთიერთობისა და მათი ჩართულობის კვლევა.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 12/2023 | მომზადებულია კვლევის ანგარიში, რომელიც მიმოიხილავს მაჟორიტარულ ბიუროთა გამოცდილებასაც. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

### ეტაპი 2 — საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 01/2024 | 09/2024 | მომზადებულია ერთი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სამოქალაქო სექტორის ჩართულობით. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

## რისკები და შემცირების გზები

**რისკი:** ფინანსური სახსრების არქონა კვლევის ჩასატარებლად.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება;

პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია მომდევნო წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად.

# საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში

# 4 თემატური მოკვლევის პრაქტიკის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია

**ინიციატორი**

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ვლადიმერ მგალობლიშვილი
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

ვლადიმერ მგალობლიშვილი

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**



უმაღლეს საბჭოში რამდენიმე დარგობრივი კომიტეტი უკვე პრაქტიკაში იყენებს მნიშვნელოვან საზედამხედველო ინსტრუმენტს, როგორიცაა თემატური მოკვლევა. ნებისმიერი ასეთი ინსტრუმენტი, რომლითაც სარგებლობს უმაღლესი საბჭო, რეგლამენტირებული უნდა იყოს საკანონმდებლო დონეზე.

მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგი და გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs) უმთავრესი საშუალებაა თანამედროვე გლობალურ გამოწვევათა გადასაწყვეტად. ეროვნულ დონეზე არსებული ამბიციური დღის წესრიგის მიუხედავად, მდგრადი განვითარების დღის წესრიგზე მუშაობა აჭარის რეგიონში ნაკლებად აქტუალურია. იშვიათია კვლევები რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე. ფაქტობრივად, არ იძებნება სტატისტიკური მონაცემები და არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა/სტრატეგია, თუ რას აკეთებენ რეგიონის ორგანოები მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესასრულებლად.

რეგიონის აღმასრულებელი ორგანოები არ მუშაობენ ღია მმართველობის პრინციპების მიმართულებით. ინსტიტუციურ დონეზე ნაკლებია ღიაობა და ანგარიშვალდებულება. ამ ეტაპისთვის, უმაღლესი საბჭო, როგორც წარმომადგენლობითი და საზედამხედველო ორგანო, ვერ აკონტროლებს ღია მმართველობის პრინციპების დაცვას აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, რაც გამოწვეულია საზედამხედველო მექანიზმთა იშვიათი ან სუსტი გამოყენებით.

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

თემატური მოკვლევა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზედამხედველო ინსტრუმენტი, აისახოს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში.

საბჭომ ჩაატაროს თემატური მოკვლევა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიზნებსა და ღია მმართველობის საკითხებზე, რათა ბევრად ეფექტიანი და ინკლუზიური გზები მოძებნოს საზედამხედველო თუ საკანონმდებლო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა მოსაგვარებლად.

ღია მმართველობის საბჭომ გამოიყენოს საზედამხედველო მექანიზმი და ჩაატაროს თემატური მოკვლევა რეგიონის აღმასრულებელ ორგანოებში ამ კუთხით არსებული ვითარების შესაფასებლად. მოკვლევის საფუძველზე, შემუშავდეს რეკომენდაციები ამ ორგანოებში ღია მმართველობის გასაუმჯობესებლად.

თემატურ მოკვლევაში აუცილებლად უნდა ჩაერთოს სამოქალაქო სექტორი.

**მთავარი მიზანი**

თემატური მოკვლევის საკანონმდებლო რეგულირება და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა;

რეგიონის როლის გააქტიურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში და ერთიანი პოლიტიკის შემუშავება საზოგადოების მონაწილეობით.

| | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| **ღია მმართველობის პრინციპები** | | ✓ | ✓ | |

## განხორციელების ეტაპები

### ეტაპი 1

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანა და თემატური მოკვლევის ინსტრუმენტის ასახვა.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 09/2022 | 12/2022 | უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილება შეტანილია. | საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი |

### ეტაპი 2

თემატური მოკვლევის პილოტირება უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის საკითხებზე.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 01/2023 | 12/2023 | მომზადებულია ტექნიკური დავალება.<br>ჩატარებულია თემატური მოკვლევა. მოწვეულია სამოქალაქო საზოგადოების არანაკლებ ათი ორგანიზაცია.<br>მომზადებულია ანგარიში და რეკომენდაციები. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

### ეტაპი 3

უმაღლესი საბჭოს წევრთა და თანამშრომელთა გადამზადება მდგრადი განვითარების დღის წესრიგის, ასევე, ეროვნული თუ საერთაშორისო მიდგომების შესახებ.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 01/2023 | გადამზადდა სულ მცირე:<br>● 10 დეპუტატი<br>● კომიტეტების აპარატის თანამშრომელთა 50%<br>● უმაღლესი საბჭოს აპარატის 15 თანამშრომელი<br>● საკონსულტაციო ჯგუფის 7 წევრი | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი<br>მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

| ეტაპი 4 | ღია მმართველობის საბჭოს მიერ თემატური მოკვლევის ჩატარება რეგიონში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ან მისი ნაწილის (გარდა ღია მმართველობისა) შესრულებაზე და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. |
|---|---|

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 01/2023 | 10/2023 | მომზადებულია ტექნიკური დავალება.<br>ჩატარებულია თემატური მოკვლევა, რომელშიც მოწვეული იყო, სულ მცირე, 10 საერთაშორისო ან/და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია.<br>მომზადებულია თემატური მოკვლევის ანგარიში და რეკომენდაციები. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

## რისკები და შემცირების გზები

**რისკი 1:** დეპუტატებისა და თანამშრომლების გადამზადება უკავშირდება ფინანსურ რესურსებს, რომლებიც შეიძლება არ ჰქონდეს გათვალისწინებული უმაღლეს საბჭოს.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება;

პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია შემდეგი წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად.

**რისკი 2:** გარე მხარეთა დაბალი ჩართულობა თემატურ მოკვლევასა ან საკანონმდებლო პროექტის მომზადებაში.

**შემცირების გზა:** უმაღლესი საბჭოს აქტიური კომუნიკაცია გარე მხარეებთან და ხაზგასმა საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობაზე.



# 5 საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში, ონლაინმექანიზმების გამოყენებით

**ინიციატორი**

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- დემოკრატიის ინსტიტუტი

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

გიორგი კირთაძე

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- დემოკრატიის ინსტიტუტი
- მწვანე სექტორი
- ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**

აჭარის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი მანდატია საზედამხედველო საქმიანობა. 2020-2022 წლებში, ღია მმართველობის პირველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ პროცესის გამჭვირვალობისთვის, თუმცა ამ ეტაპზე ინფორმაცია არ არის კონსოლიდირებული ანგარიშვალდებულ ორგანოთა მიხედვით. ვებგვერდზე ერთ განყოფილებაშია მოცემული ცალკეული ორგანოების ანგარიშები, თუმცა არა ყველა. არ არის წარმოდგენილი საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში ჩატარებულ სხდომათა ოქმები ან/და ჩანაწერები (მინისტრის საათის ფარგლებში წარდგენილი ანგარიში, საკომიტეტო მოსმენაზე წარმოდგენილი ინფორმაცია და ა.შ.).

ძალიან ცოტა მექანიზმი არსებობს უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო საქმიანობაში საზოგადოების ჩასართავად. პლატფორმა chaerte.sca.ge-ის ამოქმედების შემდეგ, მინისტრის საათამდე რამდენიმე დღით ადრე საბჭომ დაიწყო მოქალაქეთა გამოკითხვა მინისტრებისთვის დასასმელი კითხვების შესახებ. ამ მეთოდით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ერთ-ერთ მინისტრს სხდომაზე დაუსვა მოქალაქეებისგან შემოსული ოთხი შეკითხვა, თუმცა ეს მიდგომა არ იყო სისტემური; ამასთანავე, დასმული კითხვები წინასწარ არც მინისტრს გადასცემია და არც გამოქვეყნებულა.

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ელექტრონული პლატფორმის, chaerte.sca.ge-ს მეშვეობით, რომელზეც უნდა დაინერგოს რამდენიმე მოდული. კერძოდ:

- მოქალაქეთა კითხვების მიღება მინისტრის საათისთვის;
- მოქალაქეთა კითხვების მიღება აღმასრულებელ ორგანოებთან დასასმელად, რომლებიც პერიოდულად გადაეცემათ დეპუტატებს უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვის ფორმატში გადასაგზავნად;
- უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენილი დოკუმენტაციის (ანგარიშები, მთავრობის, მინისტრებისა და სხვა პირების ზეპირი თუ წერილობითი მოხსენებები) განთავსება და მოქალაქეთა უკუკავშირის მიღება მათ შესახებ (კომენტარის ან სხვა წერილობითი შეფასების სახით).

**მთავარი მიზანი**

საზოგადოებისთვის ციფრული მექანიზმების შეთავაზება საზედამხედველო საქმიანობაში მონაწილეობისთვის და საბჭოს აქტიური რეაგირება მათზე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ღია მმართველობის პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |

## განხორციელების ეტაპები

**ეტაპი 1** sca.ge ვებგვერდზე ანგარიშვალდებულ ორგანოთა მიერ საბჭოში წარდგენილი ანგარიშების თუ სხვა ინფორმაციის ცხადად, დაჯგუფებულად გამოქვეყნება.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 10/2023 | ცალკე გამოყოფილ გვერდზე მოცემულია ანგარიშვალდებულ ორგანოთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

**ეტაპი 2** chaerte.sca.ge-ს პლატფორმას დაემატოს შეკითხვის ან იდეის გაზიარების მოდულები: „უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა“ და „ჩაერთე საზედამხედველო საქმიანობაში“.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 09/2023 | განახლებულია მოდული https://chaerte.sca.ge/ge/chaerte-sazedamkhedvelo-saqmianobashi<br>მომზადებულია საინფორმაციო მასალა, რომელიც გავრცელდა სოციალური მედიით.<br>2024 წლისთვის დეპუტატებს დასმული აქვთ მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი კითხვების, სულ მცირე, 50%. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

**ეტაპი 3** chaerte.sca.ge-ს პლატფორმაზე მოდულში „ჩაერთე საზედამხედველო საქმიანობაში“ გამოიყოს განყოფილება მოქალაქის მიერ მინისტრის საათისთვის კითხვის დასასმელად.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 10/2023 | Chaerte.sca.ge-ს დაემატა შესაბამისი განყოფილება. მომზადებულია საინფორმაციო მასალა, რომელიც გავრცელდა სოციალური მედიით.<br>2024 წლისთვის მინისტრს დაუსვეს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი კითხვების, სულ მცირე, 50%. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

**ეტაპი 4** უმაღლესმა საბჭომ მოამზადოს შემაჯამებელი ანგარიში საზედამხედველო საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობაზე.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2023 | 12/2023 | მომზადებულია წელიწადში ერთი ანგარიში, სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი<br>საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი |

## რისკები და შემცირების გზები



**რისკი 1:** მოდულების დამზადება საჭიროებს დიდ ფინანსურ რესურსს.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება; პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია 2024 წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად.

**რისკი 2:** ანგარიშვალდებულ პირთა წინააღმდეგობა დოკუმენტაციის წერილობით წარდგენის კუთხით.

**შემცირების გზა:** შესაბამისი ვალდებულების განსაზღვრა საკანონმდებლო ცვლილებით.

**რისკი 3:** მოქალაქეთა მიერ ინიციირებული კითხვები დეპუტატებმა შეიძლება არ დასვან, თემატური შესაბამისობის მიუხედავად.

**შემცირების გზა:** დეპუტატებთან კომუნიკაცია, რომ ამ ტიპის კითხვების დასმა არ გულისხმობს მათი შინაარსის გაზიარებას და ისინი უბრალოდ წარადგენენ მოქალაქის ინიციატივას.

# საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საკანონმდებლო საქმიანობაში

# საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში

## ცნობიერების ამაღლება და გამჭვირვალობა

# 6 ღია მმართველობის რეგიონულ საკანონმდებლო ორგანოთა საერთაშორისო ქსელი

**ინიციატორი**

- დავით გაბაიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

დავით გაბაიძე

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- მწვანე სექტორი

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**

ღია მმართველობა, დღესდღეობით, დემოკრატიულ სახელმწიფოთა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ტექნოლოგიური განვითარებისა და კრიზისული სიტუაციების მართვის თანამედროვე მიდგომათა საჭიროებას. მიუხედავად ამისა, სუბნაციონალურ დონეზე (რეგიონები, ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქები თუ სხვა ტიპის ერთეულები) ღია მმართველობა ჯერ კიდევ არ ქცეულა დღის წესრიგის უმთავრეს თემად.

აჭარის უმაღლესი საბჭო ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონული საკანონმდებლო ორგანოა მსოფლიოში, რომელმაც დაიწყო ღია მმართველობის ინიციატივის განხორციელება. მან მცირე ვადაში შეძლო როგორც უპრეცედენტო სექტორთაშორისი თანამშრომლობის დამყარება, ისე ამბიციური ინსტიტუციური ღიაობის გეგმის შემუშავება და წარმატებულად შესრულება.

აჭარას არაერთი დამეგობრებული რეგიონი ჰყავს, საინტერესო გამოცდილებით. მათი საკანონმდებლო ორგანოები წლებია ახორციელებენ სხვადასხვა ინიციატივას, თუმცა რეგიონებს შორის ამ კუთხით ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის ინსტიტუციონალიზებული.

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

აჭარის უმაღლეს საბჭოს უკვე საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს ღია მმართველობის რეფორმების კუთხით და შეუძლია, ეს ცოდნა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად გააფართოოს, გააძლიეროს და სამაგალითოდაც აქციოს. ამავდროულად, დამეგობრებულ რეგიონთა პრაქტიკის გაცნობა აჭარას საშუალებას მისცემს, უფრო გაზარდოს ღია მმართველობის მასშტაბი. ამისთვის შესაძლებელია საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება აჭარაში, რომლის მთავარი თემები იქნება როგორც საკანონმდებლო ორგანოთა ინსტიტუციური ღიაობა და საზოგადოების მონაწილეობა მათ საქმიანობაში, ასევე რეგიონთა გამოცდილების გაზიარება ღია მმართველობის კუთხით. კონფერენციის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანოთა საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბება და რეგულარული თანამშრომლობის დანერგვა.

**მთავარი მიზანი**

აჭარის დამეგობრებულ რეგიონებთან ერთად და ღია მმართველობის პარტნიორობის ჩართულობით, გაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია ღია მმართველობის საკითხებზე, რათა შესაძლებელი გახდეს გამოცდილების გაზიარება. ჩამოყალიბდეს რეგიონულ პარლამენტთა ქსელი.

| | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| **ღია მმართველობის პრინციპები** | ✓ | | | |

## განხორციელების ეტაპები

**ეტაპი 1** უმაღლესმა საბჭომ შეიმუშაოს რეგიონულ პარლამენტთა და სამოქალაქო ორგანიზაციათა პირველი კონფერენციის კონცეფცია და გეგმა. შეიქმნას ქსელის სადამფუძნებლო დეკლარაციის პროექტი.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 05/2023 | მომზადებულია:<br>1. კონფერენციის კონცეფცია<br>2. კონფერენციის დღის წესრიგი<br>3. კონფერენციის ორგანიზების გეგმა<br>4. ქსელის დეკლარაციის პროექტი | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

**ეტაპი 2** დამეგობრებულ რეგიონებთან კონფერენციის ფორმატის და მონაწილეთა შეთანხმება, სამოქალაქო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 05/2023 | 12/2023 | შეთანხმებულია:<br>1. კონფერენციაში მონაწილე, სულ მცირე, სამი რეგიონი (მათ შორის, დამეგობრებული);<br>2. კონფერენციაში მონაწილე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები - როგორც საქართველოდან, ისე სხვა, მათ შორის, დამეგობრებული რეგიონებიდან;<br>3. ღია მმართველობის პარტნიორობის ადგილობრივი ქსელის ჩართულობა. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

**ეტაპი 3** მომზადდეს რეგიონული პარლამენტებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების პირველი კონფერენცია;

პროცესში ჩაერთონ სტუდენტებიც, მოხალისეების სახით.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 09/2023 | 04/2024 | ჩატარებულია ერთი საერთაშორისო კონფერენცია.<br>გაფორმებულია მემორანდუმი/ მიღებულია დეკლარაცია. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

| ეტაპი 4 | კონფერენციის შედეგად, რეგიონებმა ერთმანეთს გაუზიარონ ცოდნა და აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის პრაქტიკა განახლდეს რეგიონთა კარგი პრაქტიკის მიხედვით. |
|---|---|

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 04/2024 | 09/2024 | აჭარის უმაღლესმა საბჭომ შეარჩია, სულ მცირე, ერთი საერთაშორისო გამოცდილება. | საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

## რისკები და შემცირების გზები



**რისკი 1:** კონფერენციის ორგანიზება უკავშირდება ფინანსურ რესურსებს, რომლებიც შესაძლოა არ ჰქონდეს გათვალისწინებული უმაღლეს საბჭოს.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება;

პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია მომდევნო წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად; და კონფერენციის ორგანიზება 2024 წლისთვის.

**რისკი 2:** დაბალი ჩართულობა რეგიონების ან/და იქ მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან.

**შემცირების გზა:** უმაღლესი საბჭოს აქტიური კომუნიკაცია დამეგობრებულ რეგიონთა საკანონმდებლო ორგანოებთან;

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) დახმარებით, სხვა რეგიონებთან კომუნიკაციის გაძლიერება;

საქართველოს სამოქალაქო სექტორის აქტიური კომუნიკაცია პარტნიორ რეგიონთა სამოქალაქო სექტორთან.

# 7 უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა

**ინიციატორი**

- დემოკრატიის ინსტიტუტი
- ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

ტიტე აროშიძე

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- დემოკრატიის ინსტიტუტი
- ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლობაზე საერთაშორისო თუ ადგილობრივ პარტნიორებთან მცირე ინფორმაცია ქვეყნდება. ეს ინფორმაცია ზოგადია და არ ასახავს კონკრეტულ მიზანს, თანამშრომლობის ფორმას, დადებით შედეგებს რეგიონისთვის და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს კომიტეტები არ აქვეყნებენ სხდომის ოქმებსა და წარმოდგენილ მოსაზრებებს.

ამ ეტაპისთვის, საბჭოს არ აქვს ინფორმაციის გამოწერის რაიმე მექანიზმი, მაგალითად, RSS-ის (really simple syndication) ფიდის სახით.

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

კანონპროექტებთან დაკავშირებით, საკმაოდ დიდი ინფორმაცია იდება, თუმცა არ არის წარმოდგენილი მოსაზრებები/დასკვნები. შესაბამისად, ერთიან სივრცეში თავმოყრა და გამოქვეყნება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (sca.ge) მენიუს დაემატოს შეჯამებული ინფორმაცია პარტნიორთა შესახებ, რომელიც ყოველწლიურად განახლდება.

საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდს დაემატოს RSS Feed, ვებგვერდზე განთავსებული მასალების სათაურებით, განცხადებებითა ან საიტზე გამოქვეყნებული სრული მასალებით.

საბჭოს ვებგვერდზე RSS ფორმატს აქვს კაშკაშა ნარინჯისფერი ხატულა, რომელსაც მოქალაქეები მარტივად შენიშნავენ  არხის გამოსაწერად.

**მთავარი მიზანი**

გასაჯაროვდეს კანონპროექტებთან დაკავშირებული საკომიტეტო სხდომების აუდიოჩანაწერები და მიღებული მოსაზრებები.

გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობაზე.

გაიზარდოს გამჭვირვალობა საბჭოზე ინფორმაციის გამოწერით.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ღია მმართველობის პრინციპები** | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
| | ✓ | | | ✓ |

## განხორციელების ეტაპები

**ეტაპი 1** ვებპლატფორმას დაემატოს შესაბამისი განყოფილება, სადაც განთავსდება კანონპროექტებზე მიღებული მოსაზრებები, სხდომის ოქმები და სხვა მასალა.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 05/2024 | შესაბამისი მოდული განახლებულია და მოიცავს ველებს სხდომის ოქმის, მიღებული მოსაზრებებისა და, არსებობის შემთხვევაში, აუდიოჩანაწერებისთვის. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>უმაღლესი საბჭოს კომიტეტები |

**ეტაპი 2** ვებგვერდზე რეგულარულად განახლდეს ინფორმაცია აჭარის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლობაზე საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 12/2022 | 09/2024 | აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (sca.ge) მოცემულია ინფორმაცია საერთაშორისო პარტნიორებთან მიღწეულ შედეგებზე, რომელიც, სულ მცირე, ყოველწლიურად განახლდება.<br>აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორობაზე. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

**ეტაპი 3** საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდს დაემატოს მოდული RSS Feed-ის სახით.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 09/2024 | საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე არსებობს RSS Feed, რომლის მეშვეობითაც გაზრდილია კომუნიკაცია დაინტერესებულ აუდიტორიასთან. | საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება |

### რისკები და შემცირების გზები

**რისკი 1:** მოდულის განახლება საჭიროებს ფინანსურ რესურსს.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება; პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია 2024 წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად.

# 8 საინფორმაციო კამპანია საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმებზე

**ინიციატორი**

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

**ღია მმართველობის საბჭოს წევრი**

მარინე გვიანიძე

**პოტენციური პარტნიორი ორგანიზაცია**

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

**არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა**

საზოგადოების მონაწილეობისათვის 2022 წელს ამოქმედდა უმაღლესი საბჭოს პლატ-ფორმა chaerte.sca.ge. და დაინერგა სხვადასხვა ელექტრონული სერვისი, რომლებმაც უნდა გაზარდოს როგორც უმაღლესი საბჭოს ცნობადობა, ისე საზოგადოების მონაწი-ლეობა საბჭოს საქმიანობაში. თუმცა არსებული მექანიზმები თითქმის არ გამოიყენება, ნაკლები ცნობადობის გამო.

მუნიციპალიტეტებში არ ტარდება გასვლითი შეხვედრები ღია მმართველობის საკითხებ-ზე, სადაც ჩაერთვებოდნენ მუნიციპალურ ორგანოთა წარმომადგენლებიც.

**პრობლემის გადაწყვეტის გზა**

უნდა დაიგეგმოს საინფორმაციო კამპანია, რომელიც გაზრდის ცნობადობას საბჭოში მოქმედ მექანიზმებზე. კამპანიამ უნდა დაფაროს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტი და მასში უნდა ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების წევრებიც.

საბჭომ, მუნიციპალიტეტთა წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეო-ბასთან გაიმართოს პერიოდული შეხვედრები და მიიღოს შესაბამისი უკუკავშირი.

**მთავარი მიზანი**

საზოგადოების ინფორმირებულობისა და  მონაწილეობის გაზრდა.

| ღია მმართველობის პრინციპები | გამჭვირვალობა | ანგარიშვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| | ✓ | | | |

## განხორციელების ეტაპები

**ეტაპი 1** საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმებზე - სამოქმედო გეგმის შემუშავება.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 10/2022 | 01/2023 | მომზადებულია სამოქმედო გეგმა. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

**ეტაპი 2** საინფორმაციო მასალების მომზადება (ფლაერები, ბროშურები, ვიდეორგოლები და სხვა).

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 02/2023 | 09/2023 | მომზადებულია, სულ მცირე, 1 ვიდეორგოლი და 2 ტიპის ფლაერი ან ბროშურა. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |

**ეტაპი 3** აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ღია მმართველობის საკითხებზე, სადაც ჩაერთვებიან უმაღლესი საბჭოს თანამშრომლები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები და მუნიციპალურ ორგანოთა წარმომადგენლებიც.

| დაწყება: | დასრულება: | ინდიკატორი | პასუხისმგებელი ერთეული |
|---|---|---|---|
| 04/2023 | 04/2024 | აჭარის თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარებულია, სულ მცირე, თითო შეხვედრა (ჯამში - 6), სადაც მონაწილეობდნენ უმაღლესი საბჭოს თანამშრომლები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები და მუნიციპალურ ორგანოთა წარმომადგენლები. | მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი<br>საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი |

## რისკები და შემცირების გზები

**რისკი:** ვიდეორგოლებისა და საინფორმაციო მასალების მომზადება საჭიროებს ფინანსურ რესურსს.

**შემცირების გზა:** გარე რესურსების (დონორთა და სხვა პარტნიორთა) მოძიება; პოლიტიკურ ჯგუფებთან კომუნიკაცია 2024 წლის ბიუჯეტში თანხის გასათვალისწინებლად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara


# აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა

ლია მმართველობის
საბჭოს წევრი
პოტენციური
პარტნიორი
ორგანიზაცია
არსებული
მდგომარეობა და
პრობლემის ალწერა
ანგარიშვალდებულება